№ 13 ქვიტა, 1 ივნისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 13

ქრისტე ავადმყოფთან – ნახატი კრამსკისა.

ჩემს მტანჯველს

შენთვის ამ ჩემს ჩანგს ვატირ-ვაკვნესებ,
შენთვის თვალით მდის ცრემლი მდუღარე;
შენთვის ვიტანჯვი, ვიწვი და ვდნები
და შენ გამო ვარ მე მგლოვიარე!

ნეტა ვიცოდე, რად გსურს ვიტანჯო,
რად გსურს დამაგდო მარტო, ობლადა;
რად გსურს, ვით გულ-ქვა ულვთო მტარვალმა,
მომსპო, გამაქრო ამა სოფლადა?!

ნუ თუ აწ მაინც არ შემიბრალებ
და სულს სიმშვიდეს არ დაუბრუნებ?!
ნუ თუ აწ ამ გულს შენგნით დაკოდილს
ერთ წუთ სიამეს აღარ არგუნებ?!..

პასუხს არ მაძლევ... სჩანს არ მიბრალებ...
მაშ, სჯობს მოგშორდე, ჩემო მტანჯველო!
შენც მოგშორდები, შენც გაგეცლები
დაუნდობელო წუთი-სოფელო!..

ალ. ჩახუნაშვილი.

ცხოვრება და მოღვაწეობა „პეტრე მოციქულისა"

ეს „დიდებული" გვამი დაიბადა სოფელ სამტრედიაში (ეწლა დაბაა), რომელიც განგებამ მამით გლეხად დაბადა და დედით კი აზნაურად. მამა მისი,—ლაქლაქა პავლე, ასე ეძახდნენ განსვენებულს,—თუმცა გლეხი იყო, მაგრამ გლეხობისა არა ეცხო-რა, არც გარეგნობით და არც ხასიათით. შრომა და კეთილ-სინდისიერი გარჯა მის ტიბიკონში არ ეწერა. გათენდებოდა თუ არა, მოიმარჯვებდა ხელში სქელ ბზის ჯოხს და ესტუმრებოდა სასოფლო დუქანს და თუ ვინმე საკბილო შეხვდებოდა, სიამოვნებით დაალამებდა ხოლმე მეზობლებისა და ქვეყნის ჭორვაკილვაში.

საზოგადოდ, პავლეს მიზნად არასოდეს არა ჰქონდა დასახული ფიზიკური შრომა, როგორც სხვა გლეხებს. იგი უფრო წააგავდა მოყიალე უქმ აზნაურს. სამუშაო იარაღი, როგორც მაგალითად, ხარ-ურემი, სახნისი, ფარცხი და სხვა ამგვარი, მის ოჯახში არავის უნახავს და ან რისთვის დასჭირდებოდა, როდესაც გაჭრილი პავლე ადვილად ახერხებდა მოზიარეს (მოიჯარადრეს) ჰოვნას მიწების დასამუშავებლად მოზიარე, რომელსაც ვალად ედვა მოხვნა, დათესვა, ორჯელ გათოხნა და მოტეხვა, სიმინდი თუ ჩალა უნდა გაეყოთ შუაზე და აგრეთვე მოზიარე გლეხი ვალდებული იყო საკუთარი ურმით პირველად პავლეს ოჯახში მიეზიდნა, ჩაეყარა სიმინდი სასიმინდეში, დაეზვინა ჩალა და ყველაფერი თავ-თავის ადგილზე და შემდეგში კიდევ თავის წილისთვის უნდა მიეხედნა. თუ წვიმა დაუსველებდა უპატრონოდ გაშვებულ ხვავს, ან საქონელი წაუხდენდა, ამას არ დაგიდევდა გაუკითხავი პავლე.

დადგებოდა ზამთარი თუ არა, მოზიარის ვალდებულობას შეადგენდა ახალისა თუ ძველი ღობის გალობვა-შეკეთებას. იმისსავე მოვალეობაში იყო წნელის მოჭრა, მიზიდვა და საზამთროდაც შეშის დაპობა მუქთად. მართალია მეზობლებს ებრალებოდა საწყალი ტალაბაძე (მოზიარის გვარია), მაგრამ ვინ იყო იმის გამბედავი, რომ რაიმე ეთქვა მოზიარისთვის.—პავლეს ყბაში მტერი ჩავარდაო—ასე იტყოდა ხოლმე სოფელი.

სიკვდილის შემდეგ პავლემ მემკვიდრეობით გლეხი ტალაბაძე დაუტოვა თვის „სოციალისტ" შვილს პეტრეს და დღესაც იყვლიფება.

აი, ასეთი იშვიათი გამყვლეფი და სხვისი შრომით ნაკვებ ოჯახში იშვა ჩვენი „სასიქადულო" ყრმა პეტრეც, რომელმაც თითქმის ბევრად გადაამეტა კიდეც მამის დაწყებულ კვალს.*) ყრმა პეტრემ ქართული ანბანი ოჯახში შეისწავლა, შემდეგ შეიყვანეს ეწერის სასოფლო სკოლაში და ორი თუ სამი წლის შემდეგ მამამ მიაბარა ქუთაისში სამოქალაქო სასწავლებელში. „კურსოვნიკობის" შემდეგ უკვე კარგად მოცვეთილი პეტრე მამის სურვილით ბოქაულის ან აბლაკატის კარამდი უნდა მიჩოჩებულიყო, მაგრამ პირველი არ ინდომა, ხოლო მეორე სცადა რამდენიმე ხანს და რა კი დაატყო დუშაში არ მოსდიოდა ეს ხელობა, მამას ვალი აალებინა და რუსეთში გაემგზავრა იმ იმედით, რომ სწავლა განეგრძო, მაგრამ ცოტა ცოდნამ უღალატა და ერთი თუ ორი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აქ გახსნა წიგნების სავაჭრო მაღაზია (რა თქმა უნდა სხვის ფულებით). არ გასულა დიდი ხანი, რომ გაკოტრდა და მაღაზია მიკეტა. მაშინდელი აღებული ვალი დღესაც გადაუხდელი აქვს. ამის შემდეგ თავი ამოყო ტფილისში და რომ სამწერლო სუნი და მისი მნიშვნელობა შეესწავლა, „ივერიის" რედაქციაში შეძვრა, როდესაც მისგან ათვალისწინებული ილია რედაქტორობდა. სწორედ ამაზე იტყვიან: „ობოლო ვის აგინებო, ვინც გამზარდაო".

„ივერიასაც" განშორდა. შემდეგ ვხედავთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს სამმართველოში მოხელეთ. აქაც მალე თავი მიანება და გადასახლდა რუსეთში ერთ თავის ნათესავთან. განვლო ცოტა ხანმა და „სევერნი კურიერში" ამოყო თავი და როდესაც „კურიელე-

*) რომ იტყვიან ქართულ ანდაზასა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო". ალბად ჩვენი პეტრეც ცხონებულ თავის მამას ემგზავსება ბოთო-ბმწყობა.

ბმა“ ნედაუჩივში გიმნაზისტის სახელი დაარქვეს, პირი ისევ ჩვენკენ იბრუნა და შეიხიზნა ქუთაისში. მან თავი აიმაღლა — მე „კურიერისტი“ ვარო და რას მიქვიან ქართული ლიტერატურა, ან ვინ კითხულობს იმასაო.

მარტოთ-მარტო „კურიერისტის“ სახელმა შორს ვერ წაიყვანა და მიაშურა ბაქოს. ცოტა ხანს მგონი ქალაქის სამართველოში მსახურებდა. შემდეგ სხვა და სხვა ნავთის კანტორებში და რომ ვერსად ვერ შეეგუა, იძულებული იყო ბაქოც მიეტოვებინა. ამავე ხანებში შეირთო ცოლი და ერთიც უკანასკნელად ცოლის მამულში, ტამბოვის გუბერნიაში, სცადა ცხოვრება. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, იქიდანაც ძალე დაბრუნდა და აი ეხლა ტფილისიდან მგონი ადარსად წავა. „პეტრე მოციქული“ ჯერ კიდევ ახალგაზდაა, დაახლოვებით ორმოცდა სამი წლისა იქნება. „შრომის უნარი“ ბევრი აქვს კიდევ და თუ ვიცოცხლეთ ბევრს გავიგონებთ მისგან „ბრძნულ დიდებას“, როგორც მაგალითად საფლავში ჩაყურყუმელავების ისტორიას, ქართველების ცინიკურ დაცინვის ლექციას, ტერიტორიის არ ქონას და ათასი ამის მსგავსი, რაც ერთი სიტყვით, ჩვენ ეროვნულ სიამაყეს ზიანს მოუტანს.

ურდული.

კ ა ლ ა მ ს

გადავლახე ტყე და ველი,
გადვიარე მთა და ბარი;
ვერსად ვპოვე, ოჰ — კალამო,
შენებრ წმინდა მეგობარი!.

გთხოვ კალამო, არ დადუმდე,
ხალხს პირნათლათ ემსახურო,
მტერს დაესო მკერდში ისრათ,
ჩაგრულს გული გაუხარო.

სადაც ბნელი დაინახო,
გაიელვე შუქი ჰფინე,
რომ ჩაგრულმა გზა გაიგნოს,
და აღთქმული ნახოს მხარე.

გადავლახე ტყე და ველი,
გადვიარე მთა, გორაკი,
ვერსად ვპოვე, ოჰ — კალამო,
შენებრ წმინდა და სპეტაკი!.

ა. საჩხერელი.

ძველ ალგომიდან

მღეროდა იგი: მეც იქ ვიყავი
და ყურს ვუგდებდი იმის სიმღერას,
ისმოდა მასში ციური ჰანგი,
და ალმიძრავდა გულში ტკბილ ძგერას.

ნეტარი წუთი... ვით მოგონება
გარდაუვალი სიყვარულისა,
ან ვით ოცნებათ ნაზი სიზმარი,
და სინამდვილე სიყვარულისა.

დრომ გადირბინა, ვით ქარიშხალმა
უსამზღვროების მოჰფარდა ველსა,
ოცნება გაჰყვა მისს ფრთათა შრიალს,
და გული ჩემი დაშთა ნაღველსა.

რა გინდ ვიცოცხლო მარადის ვფიცავ
ვლოცვიდე იმა წუთს სანეტარსა
არ დავივიწყო, თაყვანსა ვცემდე
მას, ჩემი გულის უშრეტ ნიჭარსა

გ. ნამორაძე.

ვინ არის ოჯახის უფროსი

(სცენა სცენისათვის)

ძალიან შორიდან მოსული ამავია, მაგრამ ჩვენშიც მშვენივრად გამოდგება.

სულ ერთი კვირის ჯვარდაწერილი ახალგაზდა ცოლ-ქმარი ერთ დილას ერთობ გაუტეხელი გამოვიდნენ საწოლ ოთახიდან და ზურგშექცევით მიუჯდნენ ჩაის სუფრას.

იქვე ვაჟის მამაც იჯდა და ეს რომ შენიშნა, ულვაშებში ჩაიცინა და შვილს ფეხი წაჰკრა.

შვილმა არც აკივა, არც აცხელა და ამ სიტყვებით მიმართა მამას:

— მამა! ვინ არის ოჯახში უფროსი — ქმარი თუ ცოლი?..

შვილისა და ძოლის გაბუტვის ამბავი სცნო მამამ და უთხრა შვილს:

— მაგის ახსნა ასე შეგიძლიან. წადი ახლავე, უთხარი მოურავს, წაიყვანე ასი ქათამი და ორი ცხენი. ერთზე შეჯექი, მეორეზე ქათმები გადაჰკიდე და გაჰყევი ქალაქს. ყოველ ოჯახში იკითხე — ვინ არის ოჯახში უფროსი-თქო. სადაც გითხრან — ცოლიო, დაუტოვე ქათამი და სადაც — ქმარიო, იქ ცხენი დასტოვე.

— მერე — ასი ქათამი და ორი ცხენი!?..

— ჰო, ჰო, სწორეთ ეგრე ..

ადგა შვილი და ორი ცხენით და ასი ქათამით ქალაქის ერთ გძელს ქუჩას გაჰყვა... ჩაიარა ბოლომდე სულ და ერთი ქათამი შერჩა და ცხენი კი - ორივე. ქუჩის ბოლოში ერთი უკანასკნელი ქოხი იდგა, ამ ქოხსაც მიადგა.

— ვინ არის აქ ოჯახის უფროსი?!.

— მე გახლავარ, ბატონო! უპასუხა კარზე მომდგარს კაცს.

— დამიმტკიცე!

— შე დალოცვილო, ამას რა დამტკიცება უნდა. მე თუ არ მიჯერებ, აგერ ჰკითხე ჩემს დედაკაცს და გამოიყვანა ცოლი.

— დიახ ბატონო, ოჯახის უფროსი ჩემი ქმარია.

— ძლივს! — დაიძახა ყმაწვილმა. — აბა ამოირჩიე ამ ორ ცხენში რომელი გინდა.

— თუ ამისთანა სიკეთეს მიშვრები, ეგ წაბლის ფერი ცხენი მიბოძეო.

— წაიყვანე, ღმერთმა მოგახმაროს.

ამ დროს ქმარს ცოლმა რალაც ყურში ჩაუჩურჩულა, ქმარმა თავი დაუქნია და ყმაწვილს უთხრა:

— თუ თქვენი მოწყალება იქნება, ის მეორე, ლურჯი ცხენი ..

— არა, ქათამი ინებეო!

მეასე ქათამიც აქ დასტოვა და შინ დაბრუნდა ორი ცხენით.

. . . . . .

უკაცრავათ... სანამდი ამ ამბავს წავიკითხავდი, უნდა გამომეცხადებინა, რომ ცოლები დარბაზიდან გასულიყვნენ. თვარა შინ რომ დაბრუნდებით ამალამ, ვინ იცის, რამდენი ქმარი შემომიკურთხებს.

დათიკელა.

ვაშა!.. ვაშა!..

შუა ღამეა!.. ვიშ!.. რა ღამე!..
ელავს,
ღელავს,
მთვარე ნაზ შუქ მოკამკამე!..

—

შეჰკვეცია ფრთა კაეშანს
და სიმძლავრე გარდანქეშანს!..

—

ტყე შრიალებს, და ბულბული
გალობს,
ლაღობს,
ტრფობით სევდას მოკლებული!..

—

ვარსკვლავთ გუნდი ცის სივრციდან
ზღვის ტალღებში სხივებს ჰკარგავს,
ზღვის ტალღებში დანავარდობს,
გაზაფხულის გვირგვინს ჰქარგავს!..

—

ზღვის ფერი ნიჟრის ფერ ზვირთს
სჩეხს და იჭერს გაბედულად,
ზვირთთან ერთად ღამის სიოს
ჰკონავს და ჰკრავ თაიგულად!..

—

რაც არს ქვეყნად: მიწას, თუ ცას,
ყველა ჰმართავს მეჯლიშს, ზეიმს,
და გაზაფხულს წრფელის გულით
უგალობენ ზეციურ ჰიმნს!..

—

ვიშ!.. ბუნებამ ვარდთ ბუჩქნარი
ააყვავა, ათამაშა!.
მაშ, საკრთო ფერხულისთვის
გაზაფხულო, ვაშა!.. ვაშა!..

დ. ბაქარელი.

რისთვის მიუპარხარ!

როცა ცხოვრებით გულ-დატანჯული
სატრფოს ალერსში ვეძებდი შვებას,
როცა მისკენვე არ მიდებული
ცრემლით ვსტიროდი ამოებას;
როს ვშორდებოდი უკანასკნელათ,
სატრფო-სამშობლოს და მამკრავ კერას
ხელ აწურობილი ზეცას შეგსთხოვდი,
მისკენ ველოდი დახსნას და შველას.
მაშინ გამოჩნდი შენ, დრუბლის ქულავ,
მარტოდ-მარტოკა, ჩემებრ ეული;
ცისა სიფრცეში მოხეტიალე,
ვით მწირი სალმე გზა-დაბნეული.
შენ შემოგტირე ჩემი ვაება:
რა სინანულით, რა გულ-საკლავით
და, რა ვიხილე... უცბათ კალიდი
და ლედა-მიწას კვეკარ შავთ.
...და ცრემლთ იქეც...
...მიწას სტირდი...
ოხ!.. ის ცრემლები, ვით ჩემი ცრემლი,
ერის სამსხვერპლოდ გამოზრდილიო
და ერთ დროს ჩემი სიცოცხლის კრდემლი,
ეხლა ჩემსავთ დაწუეულიეო.
და იმ ცრემლებმა, დრუბლის ცრემლებმა,
კვლავ დამიბრუნეს სულის სიმშვიდე,
და მინდა მეცა, ცრემლით გაზრდილმა,
რომ მასთან ერთად ცრემლებსა ვღვრიდე.
და ჩვენ, ორივემ, მიწა ვიტირეთ,
ვიტირეთ მიწა, მიწა კრძნეული,
ჟამთა ბრუნვაში, ცრემლთ დამდნარი
სევდის ბურუსში გამოხვეული.
აი, ხომ ხედავ რისთვის მიუპარხარ!
არ გაგიკვირდეს, როცა დავქრიდე
და დრუბელთ შორის მოხეტიალე
შენ გიტქერიდე, შენ შემოგტრფოდე,
შენებრ ვსტიროდე!..

ლადო.

მესტვირული

(ლანჩხუთისათვის)

ვერ მოვისვენე, არ იქნა,
ავიღე გუდა სტვირია,
ღმერთო, მომეცი შეძლება,
ლექსები ბევრი მჭირია'
სიმონ ფირცხალაშვილსა
უნდა მიუძღვნა ქებანი:
ერთი წელია მოვიდა,
ალარ გველირსა შვებანი;
რკინის გზის მუშებს, საწყლებსა,
არ ინდობს, მუდამ ატირებს,
უმფროსობისა კილოთი
ეუბრძანებს, მუდამ აშინებს.
ზოგნი ადგილით განდევნა,
საქმე ქნა საძაგელია,
ასე მოქმედებს, იცოდეთ,
ეს გაიძვერა მელია.
მას მხარს უდგანან დამცველათ
მუშები, მუშის მტერია,
ჯაშუშობასა ჩვეულნი,
ჭკუით და აზრით შტერია;
ეს არის: ბიჭი გიორგი,
მეორე დიდი ალექსი,
მუშებს ასმენენ ხშირ-ხშირად,
მიტომ უძღვენი მათ ლექსი;
„დაროენი მასტერს“, ბატონსა,
ფეხს ბანენ, მუდამ ჰკოცნიან,
და მართალ მუშებს დასმენით
ითხოვენ, გარეთ ისვრიან;
ძღვენი მიაქვთ სიმონთანა,
გაიდვეს გრძელი ხიდია,
ჯაშუშობაში ჩვეულებს
ალარ აქვთ შიში, რიდია;
სიმონიც იმათ უჯერის,
ბოროტი, შმაგი, ფლიდია,
მუშების დევნა-წვალება
იმას ფეხებზე ჰკიდია.
ასე ვიხრჩობით მუშები,
ცრემლით სავსე გვაქვს თვალები,
„ლახტო“ უცხუნე ჯაშუშებს,
შენ მადლსა ვენაცვალები!

თა—რა.

სხვას უთხარი?

ვარდი გთხოვე — გამილიმე,
გამილიმე და მითხარი:
„ჰა ინებე ჩემო კარგო,
საბუთია უტყუარი“.
გამოგართვი გულს ჩავიკარ,
გულს ჩავიკარ ნაჩუქარი,
დრო გავიდა, და როს ვნახე,
დამხვდა უკვე ის დამჭკნარი.
გევედრები ნუ მიმალავ,
ნუ მიმალავ და მითხარი,
მე რომ ვარდი გაღმომეცი
ეს შემთხვევა სხვას უთხარი?

ნ. დავითიშვილი.

მე

რამდენს მამცირებთ, ჭიას მიწოდებთ,
რა'დენს მომმართავთ წუმბე ტალახით;
ამდენს ჩემს კამოა სიმწარეს ჭმობთ,
თქვენტ ჩემიან მოსთქვამთ ვაი-ვაგლახით.
ჩასაქოლავთ რამდენ კენჭს მესვრით,
ამდენს მკვეთრი ხმლით გიდგებით წინა;
ჩემს წმინდა-წმინდას რამდენჯერ კასვრით
ამდენ თქვენ გულ-მკერდს მოხვდება რკინა.
მე, ბაწა კაცი, სწავლა, ქონებით,
არსად არ ძალ-მიძს ვიუეე მონებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეთ კაცს აქვს თავ-მოყვარება,
და თვისი ღტოდვით მას ემყარება...
ირ. ტოფაძე.

აზირებული ამბები

(სცენა)

თელი დუნია მერექეთი გაიძახოდა, ოფილის ქალაქისთანა მშვენიერი სანახავი ქვეყანა, თელი ჩკენი კამკასიაში არ არისო. მე ვიფიქრე ისთე რავა მოვკვტე ერთი ქალაქი ვერ ვნახო თქვა და გამოვეწყე წასასვლელათ. შევიკერე ყვითელი ჩოხა-ახალუხი, ბაშლაყი, წუღა-საცვეთი. ასთე რომ გამოვეწყვე ბრანწივით, ჩემო ბატონო. ჩავიდე ჯიბეში ორი წითელი თუმნიანი, ჩავჯედი მაშინაში და სულ ბრიგინ-ბრიგინით, რიხინ-რიხინით, ბზიკინ-ბზიკინით, რიწკინ-რიწკინით ხვლექა მოვადინე თბილისში. გაგონილი მქონდა, თელი ჩვენი ბიჭები ლახალოვკას რომ ეძახიან, იქინეი აქვთ ყველას სახლიო. რომ გამოვედი სტანციიდან ერთ კაცს ვკითხე, დედა ნუ მოგიკვდება: — სეით არის ლახალოვკა თქვა? იმან მითხრა: „აი ხიდი რომაა, იმაზე გადაიარევო და მერე ლახალოვკა არისო". მადლობელი ვარ ჩემო მამა-ცქვა და გადევიარე აი ხიდი.

გევიხედე ერთი ჩვენებური გამოწყობილი კაცი ქე მოდის ვინცხა. „გამარჯობა შენი ძამია თქვა". „გაგიმარჯოს ღმერთმან ჩემო ბატონო." „მეგრელი ხარ შენ ძამია მეთქი?" „დიახ მეგრელი ვარო". „სეით მიდიხარ მერე ასთე გაჩქარებული თქვა?" „აგერ თეთრ სახლებში ლექციას კითხულობენ უფასოდა, იქინე მივდივარო." მე ვიფიქრე ეგებ იქინე ვნახო ჩვენი ბიჭები თქვა. დეიცა ძამია, მეც წამოვალ თქვა და წევედით. შევედით შით, ერთი პატიოსანი კაცი ქდანა და ლაპარიკობს, მარა რას ლაპარიკობს. უკეთეს ლაპარაკს გეიგონებ თუ? არ შეგჭამოს ჭირმა. მოყოლილია თლა ჩვენი მუშების თავ-გადასავალს, და მოსთქვამდა: მუშებმა ასთე უნდა მეიქცესო და ასთევო. ცხოვრება ამფერია და ამფერიავო.

თუმცა მე ყველაყაი ვერ გევიგე, მარა მაინც მადლობას მოვახსენებ, რადგანაც ჩვენი საწყალი მუშებიზა ასთე შესტკივა გული. ეს პირველათ ვიყავი და მიორეთ რომ მივალ, მაშინ ბოდიშს მევიხდი და ვეტყვი რომ ამიხსნას აი: პრინციპი, ფიკტური, ფაქტური და მაშინ მადლობას ვეტყვი კი არა, მუხლებზე კიდო შვიდჯერ ვაკოცებ მისთანა განათლებულ კაცს.

ბოლოს მორჩა ლაპარიკს, წამოდგა და გამოაცხადა: „საჭიროა უფრო მეტი ხალხი დაესწროს ლექციასო. კიდო ზეგ მოდითო" და წევიდა. მე გამოვედი გარედ, ერთ მოსახვევში გავჩერთი და ვიყურყუტებოდი აქეთ-იქით. გეიარა ცოტა

თევზით მოვაჭრე.— ნახატი კ. ქავთარაძისა.

ხანმა, მომესმა ჩვენებური სიმღერა: ური... ოჰო... ური... ოჰო... რე... რე... რა... მარა სეითაა, ვერ ვეგიგე. კარგად დოუგდე ყური თურმე აგერ ჩამძკრალა ქვეშ თელი ქვეყანა და მისთანა ამბავი აქვენ, რომე გოუშვი და ოუარე. მე ვიფიქრე აქანე მაინც ალ რომე მაშინათვე სული ამომშეს თქვა. გადავიწერე პირჯვარი და ვშვლიპე შით თავი. ჩაევედი ჩემო ბატონო თუ არა, ერთი აქედან დემებრდღვნა, მიორე იქიდან, გამწიეს და გამომწიეს. თურმე აქანე ყოფილა თელი ჩვენი ბიჭები: გოგია, ბესიკა, სერაფიონა, ჯიმშეთა, ივანიკა, მოსიკელა და სხვაი კიდო ბრავალი. ამომიჭდინეს გვერდში და შეუდექით ქეიფობას.

გევიხედე აგერ ჩამომჯდარა მეგრელები, დოუწყვიათ სიმღერა „სიჩერჩელა“ და ისთე გეიძახოდენ ვა... ვა... ვა... ს გეკონებოდა ვინცხა მომკვტარა და ასვენებენო. აგერ ჩამომჯდარა რაჭველები, დოუწყიათ სიმღერა: ვო... დე... ლია... დე... ლია . ვოოო... ქვე.. ქვე... დი... ლა... დე... ლავოოო. ასთე გეგონებოდა დასკინიან ერთი-მიორესო. აგერ ჩამომჯდარა ქართველები დოუწყვით სიმღერა: ჰარი... არა... ლი... ჰრა... ლი. . ჰეეე... ჰე... ე... ჰე...-ს გაიძახოდენ, გეგონებოდა მეჯოგე ცხვარს მიდენისო. აგერ ორი რუსი დამთვრალა, ეგონოდათ ზეით ასვლა მარა არაყის სული ისთეელე ექაჩებოდა და ისთე მოგორდებოდენ აი კიბეზე, რომა გეგონებოდა ერთი მიორეს აჯავრებენ, რომელი უფრო ჩამოგორდებაო. მე უთხარ ჩვენ ბიჭებს: ბოშო აქანე რო იხრჩობით ღვინით და პრაწავთ თვალებს, არ ჯობდა ლექციაზე შესულიყავით და თქვენი ცხოვრების გზა-კვალი გაგეგოთ თქვა? შენ ამ ღვინოს მოკიდე ხელიო. მე გავნაბე სული მტკუანივით. ბოლოს მოვრჩით ქეიფობას და ყველაყაი წაჩიკჩიკდენ სახლებში.

მეორე დღეს, კვირეს ნასადილევს გოგიამ მითხრა, ამელამ ლახალოვკის ტრიატში წარმოდგენაავო და იქინე წევიდეთო! კაი შენ გენაცვალე თქვა და წევედით. მივედით ტრიატში, ვიყიდეთ ბილეთები და გემევიჭიმეთ სეკლეტერივით პირველ რიგზე. დოუროკუნეს ზეონოკი, ჩამოფარებული ტილო ეიხადა და დეიწყო წარმოდგენა. ილაპარიკეს ჯერე: „შენ რეიზა მიღალატე მარინევო, შენ რეიზა წაყევი ოტიასო, შენ არა ხარ ჩემი დაო...“ ილაპარიკეს ხან ასთე, ხან ისთე. მერე გამოვარდა ერთი კაცი სვლიჭა ამ ქალს ხანჯალი და გააგორა მუაქასავით. გაკოვარდა მიორე, ბრიგა ამ ქალის მკვლელს მაპახელაი და დაახეთქა მკვახივით. ამ დროს შეიქნა ჩვენს უკან ერთი ვაი ვუი, ყვირილი და გინება ხან რუსულათ და ხან ქართულად. ამ დროს გადმოხტა ერთი კაკარტიანი ბიჭი, გამოყვა იმას მიორე ფსხვილი კაცი, ოუსვეს ამ ყვირალა ყაზირალებს და გარეკეს გარეთ ცხვარივით.

გოგიამ მითხრა: „ბიჭო, შენ რამ გადაგრია, მაგენი ავარები არისო. ახლა ახალი გამგეობამ ძაანი შეცვალა წესრიგი თვარა, წინეთ მისთანა ამბავი იყო, რომე თმის ვასაწეწიო.

იყივლა მამალმა და წარმოდგენაც მორჩა. წარმოდგენა ძაანი მომეწონა, ძაანი იყო. უწესო ხალხი რამდენიმე ქე დაიარება მარა ახალი გამგეობა მალე მოკურცებიებს მაგენს იქიდან.

ახლა ვსთხოვ იმ ტრიატის გულშემატკივრებს, ეცადონ როგორმე წარმოდგენა თავის დროზე მორჩენ, თვარა უძილობის გამო დაამთქნარებს ვინმე, ქე ჩაყლაპავს იქოურ შემოსავალს და მერე მაზდიეთ კუდში. ა. ძაძამია.

სიმღერა

(ვუძღვნი უცბათ ნახულ ქნიაუნას)

ტანათ ძვირფასი რამე ხარ,
თვალადათ უკეთესია,
უხვათ ბუნებას სიკეთე
სულ შენზე დაუთესია.
ბროლივით თეთრი კბილები
ლამაზ ტუჩებში კრთებიან,
შავი თვალები მგზნებარე
ღვთის საიდუმლოს ხვდებიან.
წარბები ეშხით სავსენი
თეთრ ღაწვებს დასჩერებიან,
ყოველი მათი მხილველნი
სამოთხის მსგავსად სტკბებიან.
თამამი, ნაზი, ნარ-ნარი
ზრდილობიანი ქებული,
აღვსილი ყოვლის კეთილით
ზეგარდმო მადლით ცხებული.

რაჭველი შურდული.

საგოდიმო ფერილი

26 მაისს ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში დანიშნული იყო სალიტერატურო დილა ლექციით, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ახალგაზდა პოეტები: ს. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ი. მჭედლიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ნ ჩხიკვაძე და გამოჩენილი იუმორისტები: პ. ირეთელი და ბ-ნი ეშმაკი. ლექციას, ხომ მოგეხსენებათ, თუ არა, ბ-ნი მ. წულუკიძე, ვინ წაიკითხავდა?!! არჩევდა ი. გედევანიშვილის პიესას „სინათლეს“. ამიტომ დიდ ბოდიშს ვიხდით დამსწრე საზოგადოების წინაშე, რომ დასახელებულ პირთაგან არც ერთი არ გამოცხადდა, გარდა ნ. ჩხიკვაძისა.

დანარჩენთა მოუსვლელობის მიზეზი, როგორც გამოირკვა შემდეგია.

ს. აბაშელი.—რადგანაც მზე იმ დღეს საუცხოოდ ბრწყინავდა, ის ამ დროს მზის სხივებიდან ლექსებს სწნავდა.

ი. გრიშაშვილი.—პაემანზე წასულიყო.

ს. ფაშალიშვილი.— „სამშობლოს ნანგრევებში“ სულის სიმშვიდეს ეძებდა.

გ. ქუჩიშვილი.—ქუჩა-ქუჩა, რითმებსა ჰკრებდა.

ი. მჭედლიშვილი.—შიო მღვიმის მონასტერში, ბერათ შესულა.

ბ-ნი ეშმაკი.—რადგანაც ეშმაკი უხილავია, ამიტომაც ის არავის დაგვენახვა.

პ. ირეთელი.—წინა ღამეს სიზმარში ე. ნინოშვილი ენახა და ჩხუ-

ბი მოსვლოდათ და რადგან ამ სიზმარს ძალიან ემოქმედნა მასზე, მეორე დღეს ავათ გამხდარიყო.

დიდას გამმართველნი: სოსო და ლადო.

მოწერილი ამბები

ოზურგეთი. არ იქნა და ვერაფერი ეშველა აქაურ ალვირ-წახსნილ შანტაჟისტების ვერაგობას. ეს ნაძირალები მოსვენებას არ აძლევენ მშვიდობიან მკხოვრებთ. ამ დღეებში მუქარის წერილი მიიღო აქაურმა ადგილობრივმა მკვიდრმა შ. ვ. ხუნდაძემ, რომელსაც ფულს სთხოვდნენ. ფული უნდა მიეტანა სადგურ ნატანების კლოზეტში და ქვის ქვეშ ამოედო, როგორც წერილში ეწერა. პოლიციას წინათვე შეეტყო ეს ამბავი და გაფაციცებით ადევნებდა თვალს, ვინ მივიდოდა ფულის ასაღებად. მართლაც მისულა ვინმე ს. ქარცივაძე, რომელიც იქვე დაუტუსაღებია ჟანდარმს. სასურველია ბოლო მოეღოს ამ მეტ ხორცთ ჩვენის დროისას. **აქაური.**

ხონი. ბოლო არ ეღება აქაურ მეფურნეების თავგასულობას. მესამე ხარისხის პურს 12 კ. ჰყიდიან, ხოლო რაკი 11 კაპეიკზე მეტის აღება აუკრძალეს სხვა ხრიკს მიმართეს: მეორე ხარისხის მაგიერ მესამეს ჰყიდიან, მესამის მაგიერ მეოთხეს.

ჰიათურა. სიზმარშიც არ დაგესიზმრებათ[illegible]ს სისუფთავე, რასაც დ. ჰიათურაში ნახავთ, განსაკუთრებით იმ მიდ[illegible]ებში, სადაც შავი ქვის წარმოებ[illegible]რას არ შეხვდება კაცი ჰიათურის ქუჩებში: პირუტყვის გახრწნილ ამყრალებულ ლეშს, რომელიც ჰაერსა სწამლავს. ახლა შებძანდით აქაურ დუქან-სამიკიტნოებში და რესტორანებში და ნახეთ იქაური სისუფთავე, რაც გინდა მშიერი იყვეთ ვერაფერს შესჭამთ და მშიერივე გამოტრიალდებით. ვინ იცის ჭურჭელს რითი არ სწმენდამენ, ძველი შარვლით, პერანგის ნახევით, ერთი სიტყვით რაც ხელში მოხვდებათ იოლათ მიდიან. მერე და რას აკეთებენ ჩვენი სანიტარები ამ დროს? ისინი არხეინად ხვრინამენ და მხოლოდ მაშინ ეღვიძებათ, როდესაც რომელიმე ბობოლას ელიან, მხოლოდ მაშინ ირაზმებიან ცოცხებით და გაფაციცებულნი ჰგვიან ქუჩებში უწმინდურებას. **პიკარი.**

* * *

(ნ. ბ.)

ტურფავ გესმის?.. ყური მიგდე,
მომისმინე ეს სიტყვები,
მომისმინე და მიხვდები,
რომ სიმართლეს გეუბნები!..
—ნუ დაყნოსამ: ჭამბახ, იას,
ნუ ინდომებ სხვის ყვავილებს...
ნუ შესცქერი იმ შავ თვალებს..
დაგიმონებს!.. მოგატყუებს!..
ყურს ნუ უგდებ იმის ალერსს,
გაგიტაცებს .. შეიყვარებს!..
ნუ დაყნოსამ ნაზ ყვავილებს...
გესმის, გესმის.. გაგაბრუებს!..

პ. ფრანგიშვილი.

მტრეგს

შხანკოლას-

„სულმნათო“ პოეტ-შხანკოლაჯან
კარგად გიცნობ... გიცნობ შენა,
ის შენ არა ხარ, ხელობათ
რომ აიღე დიდთა კბენა?..
დაივიწყე დიმიტრემ რომ
დაგიმოკლა გრძელი ენა?..
ნელა, ნელა, ჭკუა თხელა,
დაიწყნარე სულის ქშენა.

„წკიპარტს“.

„წკიპარტს“ რალა მოვახსენო
სხვას რომ იცავს ეგ საწყალი,
(ვაი ასეთ „მათრახისტებს“
კი დაუდგეს ორივ თვალი.)
ვურჩევ „მათრახს“ გადახედოს
რა მიუძღვის ცოდო-ბრალი,
იქნებ შერცხვეს ამ საბრალოს,
ჩაეგუბოს პირში წყალი.

„ჯაფარ-ფაშას“.

შენ!.. ჰო არავისთან—
არ მიგიძღვის თუმცა ცუდი,
მაგრამ ეს კი არის ასე,
რომ ქურდი ხარ, ქურდი-ქურდი.
ფსევდონიმი სხვას მოჰპარე
ივაგლახე გამიცუდდი,
ფიცი კი გვწამს, მაგრამ საგანს,
დამერწმუნე უჩანს კუდი.

ყველას ერთად.

ვინც რა გინდა, იგი როშეთ,
ვისაც გინდათ სწერეთ, ჩმახეთ,
კეთილი კაცის გალანძღვა
პროფესიათ დაისახეთ. **სათაელი.**

დ ე კ ე შ ა

დიდი-ჯიხაიში. „აზრის“ № 55-ში წერილის მოთავსებისათვის მასწავლებელმა მოსეშვილმა დუელში გამოიწვია კორესპონდენტი „კატუნია“. დუელი მოხდება ოთხშაბათს, ღამის თორმეტ საათზე, გიორგი ლორთქიფანიძის ბაღში. სეკუნდანტებათ მოწვეული არიან ადგილობრივი ფოსტალიონი და მისი სატრფო. ამბობენ მოსეშვილს როგორც გამოცდილ მსროლელს „კატუნია“ დაუჭრელი არ გადაურჩებაო.

გუშინწინ პედაგოგიურმა საბჭომ საგანგებო კრებაზე ერთხმათ გადაწყვიტა „კოტიკ“-ის შეკითხვაზე უმჯობესია გავჩუმდეთ, თორემ სიმართლე რომ გამოვამჟღავნოთ, ზედამხედველი გაგვიჯავრდება და მოსალოდნელია ამ საქმეს ცუდი შედეგი მოჰყვესო.

მომავალ კვირას, ჩვენში წაიკითხავენ სამ საინტერესო ლექციას. 1) ლექტორი ი. ქ – ძე წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ლოთობა და მისგან გამოწვეულ მარცხებთან ბრძოლა“. 2) ბ. ლ – ძე: „ნარდ-კარტის თამაში და მისი დადებითი მხარეები“. 3) ლ. ზემოხეთელი: „სოფლის კორესპონდენტის პირდაპირი მოვალეობა“. ნაწილი შემოსავლისა მიემატება სახალხო სახლის ასაშენებლათ გადადებულ თანხას; მიზანი სიმპატიურია და ვფიქრობთ მსმენელებიც ბევრი დაესწრება. ბილეთები ამ თავითვე იყიდება სტეფანე ვაშაკიძის რესტორანში. ?

დ ყვირილა. საჩქაროთ და საყოველთაოთ, ვაცხადებთ რომ ცნობილი „დეისტვიტელნი სტატსკი“ მიკიტანი რევაზიშვილი ახლო მომავალში აპირებს გამართოს ადგილობრივ სასაფლაოზე სეირნობა ლატარიაალეგრით, რასაკვირველია „ზურნოვოი ორკესტრით“, თვითონ კი ბ-მა რე—მა საკურთხობის დღეს 24 მაისს, ხსენებული სასაფლაოზე რიგიანათ იქეიფა დაფა-ზურნით და ეხლა საზოგადოებაც უნდა, რომ გაართოს ამ სამოთხის ბაღში. ვნახოთ

როგორ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და რამდენი დაესწრება საზოგადოება ამ სეირნობას.

ნიკო-ბერი და ამხანაგობა.

სამტრედიისათვის

(გამოცანა)

სწორეთ, რომა შევაწუხე
ჟურნალ „ლახტის რედაქცია,
ამდენ გამოცანის ბეჭდვით
გამოულიე ქანცია.
მაგრამ რა ვქნა უნდ ალვნიშნო
ვინც მამაცი თვალთმაქცია,
ვინც ლოლიკა სიმართლისა,
ერთი წიხლით წააქცია...
არც მაღალი, არც დაბალი,
ლმერთსა სიმსხო მიუცია,
დასელთ ჯარში ირიცხება,
მათში უყვარს ხუნტრუცია.
თავი ლიდერათაც მოაქვს,
მამაცი და ტუტუცია.
თავსა მხსნელათ მოგაჩვენებს,
თორემ ისე უვიცია.
ბევრსა იმან თავის რჩევით
წიხლი ჰკრა და წაქცია,
უწინ მხსნელი თუ კი იყო
ბოლოს ზურგი შეაქცია.
ვინც ამასა გამოიცნობს
არა უნდა მას ფიცია,
„აზრში“ „ბუკსის“ წერილები
მთლათ საჩუქრათ მიმიცია...

შენც-ქე-იცი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! „ლახტის“ მეათე ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია „გურულის თავგადასავალი“, რომელსაც ქვეშ აწერია „ოკეანები“ და რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და დიდათ მისაუვედურებენ და მეშუქრებიან. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, დამახსნათ და დამამოწმოთ, რომ მე მისი დამწერი არა ვარ და არც რაიმე დამოკიდებულება მაქვს თქვენ რედაქციასთან.

პატივისცემით ნინა (კოშია) ებრალიძე.

ვამოწმებთ, რომ ზემოხსენებული „გურულის თავგადასავალი“ არ ეკუთვნის ნინა ებრალიძეს და არც არასოდეს ეთვალა იგი ჩვენი თანამშრომელი.

რედაქცია.

წერილი ნიკოლოზ მინდიდან

ლახტოსანო! რასაცა გწერ,
არ გეგონოს ჭორია...
ჩვენ სოფლის აფთიაქში,
ერთი პროვიზორია.
მართალია კაცსა ჰგავს,
არც ვირი, არც ჯორია,
მაგრამ მუდამ დღე მთვრალი,
გალეშილი მძორია.
რეცეპტს რომ მიუტანენ:
„აბა მოამზადეო!“
„ეხლა სადა მცალიან,
რა დროს გამიცხადეო!?
ეხლა წადი ხვალამდის,
ცოტა მოიცადეო!“
გეფიცებით მკითხველო,
თვით დამწერმა ვცადეო!
ნეტა საიდან შეხვდა,
ეს ამგვარი სენია,
სხვისთვის წამალს აკეთებს,
თვით კი მოსარჩენია
ასეთი საქციელი,
ყველასთვის საწყენია,
„ლახტით“ თუ მოურჩება,
ესე ცუდი სენია.

რაჭველი.



შავი ჭირის მოლოდინში.

ექსკურსიაზე მოვდივარ,
წამოველ შორი გზიდანა,
მინდა ტფილისსაც დავხედო
ფუნიკულერის მხრიდანა.
თან მომაქვს ჭირი და სნება
ზურგზე მკიდია ტვირთათა,
შევაფუცხუნებ მამებსა
რომ იქცევიან დინჯათა.
ჩასძინებია „გალავანს“
მიულულია თვალები,
ზარბაზანს მესვრის სიზმარში,
რომ გამომთხაროს თვალები.
სანიტარებიც არ სჩანან,
სიბინძურეა ქალაქში,
დამპალ-დუმპალით ვაჭრობენ
ყასაბ-ბაყლები ბაზარში.